პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1971 წ.
№ 164 (4414) 17 აგვისტო, სამშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

მეტრეველი ისევ აბსოლუტური გამარჯვებული

მოსკოვი, 15 აგვისტო. ლუჟნიკის საჩოგბურთო კორტებზე დღეს დამთავრებულ მოსკოვის XIII ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია თბილისელმა სტუდენტმა ა. მეტრეველმა: მან ყველა თანრიგში იზეიმა გამარჯვება (უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეტრეველის მეხუთე გამარჯვებაა ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში).

გუშინ ბაქოელ ს. ლიხაჩოვთან წყვილში მეტრეველმა ერთ საათზე ნაკლები დრო მოანდომა (ეს იშვიათი შემთხვევაა ფინალური მატჩებისთვის) ამ თანრიგში საფრანგეთის არაერთგზის ჩემპიონების ჟ.-ლ. რუიესა და ჟ.-პ. მეიერის დამარცხებას — 6:3, 6:2, 6:2. დღეს კი მეტრეველმა უნგრეთის არაერთგზის ჩემპიონს ი. გულიაშს სძლია — 6:4, 6:1, 6:1.

თბილისელი თ. კაკულიას ავადმყოფობის გამო არ შედგა შერეულ წყვილთა თანრიგის ფინალური მატჩი: კაკულია, მ. ჩუვირინა (მოსკოვი) — მეტრეველი, ო. მოროზოვა. ცხადია, მოგება ამ უკანასკნელთ მიეკუთვნათ.

ქალთა დუეტების გადამწყვეტ შეხვედრაში კიეველმა გ. ბაკშეევამ და ჩუვირინამ დაამარცხეს მოსკოველი მოროზოვა და ბაქოელი ე. ბირიუკოვა — 1:6, 6:3, 7:5. ამ მატჩში გადამწყვეტი იყო მეორე პარტია, რომელშიც თავდაპირველად მოროზოვა და ბირიუკოვა დაწინაურდნენ, მაგრამ მერე იოლი გამარჯვება ირწმუნეს და... ზედიზედ წააგეს ოთხი გეიმი.

ქალთა ფინალურ მატჩში 23 წლის ლენინგრადელი ა. ერემეევა ერთ საათში გაუსწორდა ტალინელ მ. კულს — 6:0, 6:3.

• • •

სურათზე: ა. მეტრეველი (მარცხნივ) ო. ფხაკაძეს სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში გამარჯვებას ულოცავს.

მ. ზარგარიანის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).
მოსკოვი.

ნანამ გამარჯვებით დაიწყო

გლადელი, 16 აგვისტო. გუშინ აქ შედგა მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ნ. ალექსანდრიასა (სსრ კავშირი) და მ. ლაზარევიჩის (იუგოსლავია) ნახევარფინალური მატჩის I პარტია. ბრძოლა უაღრესად მძაფრი გამოდგა. 43-ე სვლაზე გაიმარჯვა ალექსანდრიამ.

II პარტია გათამაშდება დღეს. მატჩის განრიგით, ზედიზედ ყოველ ორ ტურს გადადებული პარტიების დამთავრება მოჰყვება. თუ ასეთი პარტია არ იქნა, მეტოქენი დაისვენებენ.

* * *

მინსკი, 15 აგვისტო. დღეს აქ საზეიმოდ გაიხსნა კუშნირი—ზატულოვსკაიას მატჩი. I პარტია დღეს გათამაშდება. ამ მატჩში გადადებული პარტიის დამთავრება ყოველი პარტიის შემდეგ მოეწყობა.

მინსკი, 16 აგვისტო. I პარტია მოიგო ა. კუშნირმა (მოსკოვი).

ლიდერობს სსრ კავშირის ნაკრები

ლენინგრადი, 15 აგვისტო. ი. გაგარინის ხსოვნის პრიზზე კალათბურთელ ვაჟთა გუნდების აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირს ერთპიროვნული ლიდერი გაუჩნდა. მსოფლიო ჩემპიონის — იუგოსლავიის გუნდისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრების შეხვედრის შემდეგ ჩემპიონმა ლიდერთა ჯგუფი დატოვა, მერე კი მას მიჰყვა მისი „დამჩაგვრელიც" — ჩეხოსლოვაკიელთა გუნდი, რომელმაც გუშინ მარცხის სიმწარე იწვნია სსრ კავშირის ნაკრებთან მატჩში—72:104 (33:49). საბჭოთა კალათბურთელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს დაცვაში და ტაქტიკური ხერხების მდიდარი არსენალი გამოავლინეს თავდასხმაში. ახლა სსრ კავშირის გუნდი ერთადერთია, ვინც დაუმარცხებლად იბრძვის ტურნირში.

იუგოსლავიისა და იტალიის გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს იუგოსლაველებმა—99:70 (39:42).

წინადღით იუგოსლაველებმა ანგარიშით 82:71 დაამარცხეს სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები.



◆ **ჰალე, 16 აგვისტო.** ფინალური მატჩიღა დარჩა „მეგობრობის თასზე" ჭაბუკ ფეხბურთელთა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში. საბჭოთა ნაკრები უხეიროდ გამოვიდა. მართალია, მან უკანასკნელ მატჩში ანგარიშით 3:1 დაამარცხა ბულგარეთის გუნდი, მაგრამ მხოლოდ VII ადგილი დაიკავა. თასის მფლობელი გდრ-ის პირველი ნაკრებისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდის შეხვედრაში გამოვლინდება.

◆ **ბუდაპეშტი, 16 აგვისტო.** უნგრეთის, რუმინეთის, ჰოლანდიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, შვეციისა და ბულგარეთის წყალბურთელთა მონაწილეობით აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში ყველას აჯობეს მასპინძლებმა, რომლებმაც დაუმარცხებლად განვლეს შეჯიბრება და ბურთების საუცხოო ბალანსს მიაღწიეს — 33:9.

◆ **ლაიპციგი, 16 აგვისტო.** ადგილობრივ ტრეკზე სალიდერო რბოლაში სსრ კავშირის ჩემპიონმა მ. მარკოვმა გდრ-ის მოტოციკლისტ გ. ტიმიჰენთან ერთად საერთაშორისო შეჯიბრებაში იასპარეზა და ფინალში VI ადგილი დაიკავა. გამარჯვებულებს რ. ფრანკსა (შვეიცარია) და ლიდერ გ. შრიტმაჰერს (გდრ) ერთსაათიან რბოლაში მარკოვი 2,9 კილომეტრით ჩამორჩა. საუკეთესოთა შედეგია 60 კმ 840 მ.

თამარ გამხიტაშვილი — სსრ კავშირის მოშაშე პიონერთა ჩემპიონი

ორენბურგი, 16 აგვისტო. (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). მიიწურა აქ მიმდინარე სსრ კავშირის პიონერ მოშაშეთა გუნდური პირველობა: სათამაშო მხოლოდ ორი ტურიღა დარჩა. 19 ტურის შემდეგ დაწინაურებულ ოთხეულში არიან: უკრაინა — 55 ქულა, აზერბაიჯანი, ნიკენი ტაგილი (რსფსრ) — 50-50, საქართველო — 49.

დასკვნით ტურებში საქართველოს გუნდი საპატიო მიზეზით არასრული შემადგენლობით თამაშობს, რაც შედეგებსაც დაეტყო.

ბრწყინვალედ თამაშობს თბილისელი მოსწავლე თ. გამხიტაშვილი. მან ვადამდე გაინაღდა I ადგილი — სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა მოშაშე გოგონათა შორის.

ვ. ნინუა,
გუნდის მწვრთნელი.

კუბელი სპორტსმენების ტრიუმფი

ჰავანა, 15 აგვისტო. გუშინ ათასობით ჰავანელი გულთბილად შეხვდა კუბის სპორტულ დელეგაციას, რომელმაც ბრწყინვალედ იასპარეზა კალიში (კოლუმბია) გამართულ VI პანამერიკულ თამაშებში. ამ უდიდესი შეჯიბრების მსვლელობაში თავისუფლების კუნძულის წარმომადგენლებმა 254 მედალი დაისაკუთრეს, მათ შორის, ოქროს 84.

გამარჯვებულებთან ჰავანის მცხოვრებთა შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფ. კასტრო.

— მოპოვებულმა სპორტულმა წარმატებებმა, — თქვა მან, — ერთხელ კიდევ დაადასტურა ის ვეებერთელა ყურადღება, რასაც ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას ეთმობა.

— რევოლუციის 12 წელიწადში, — განაგრძო კასტრომ, — სპორტი ჭეშმარიტად მასობრივი და სახალხო გახდა. თვალსაჩინოდ გაფართოვდა სპორტული ბაზა, ამაღლდა სპორტსმენთა მომზადების დონე, განუხრელად იზრდება სპორტული პედაგოგების რიცხვი. მხოლოდ ბოლო დროს კუბაში 2 ათასი მწვრთნელი და სპეციალისტი მომზადდა.

ფიდელ კასტრომ მხურვალე მადლობა გადაუხადა ძმური დახმარებისთვის კუბაში მყოფ საბჭოთა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მწვრთნელთა ჯგუფს.

— ეს დახმარება, — ხაზგასმით აღნიშნა მან, — კუბასთან სოციალისტური ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობის შემადგენელი ნაწილია.

დაბოლოს, კასტრომ ახალგაზრდებს მოუწოდა აიმაღლონ სპორტული ოსტატობა, რათა თავიანთი ქვეყანა შემდგომშიც ღირსეულად წარმოადგინონ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

უმაღლესი მიღწევა

კაუნასი, 14 აგვისტო. საბჭოთა კავშირის უძლიერეს ველომრბოლელთა შეჯიბრებაში პროფკავშირთა ნაკრებმა ბრწყინვალე შედეგს მიაღწია 100 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში — 2:03.57,9.

ეს შედეგი უმაღლესი საკავშირო მიღწევაა და საუკეთესო მაჩვენებელია წლეულს მსოფლიოში.

ახალი ამბები-71

„რესინგი" ხერსონში
გუნდურშიც, პირადშიც...
„ახალგზედა" პინეგინის ვერცხლი

● **ხერსონი, 15 აგვისტო.** ლიბანის შარშანდელმა ჩემპიონმა — ბეირუთის „რესინგის" ფეხბურთელთა გუნდმა აქ ამხანაგური მატჩი წააგო ადგილობრივ „ლოკომოტივთან" — 1:3.

● **კიევი, 15 აგვისტო.** სსრ კავშირის გუნდმა და მისმა ერთ-ერთმა წევრმა — კიეველმა ვ. დრიუკოვმა ყველას აჯობეს მეგობრული არმიების თანამედროვე ხუთჭიდელთა აქ გამართულ V ჩემპიონატში, რომელშიც ზემოაღნიშნული გუნდის გარდა მონაწილეობდნენ უნგრეთის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის კოლექტივები. სსრ კავშირის ნაკრებმა 15269 ქულა დააგროვა, ხოლო დრიუკოვმა — 5129.

● **ტრავემიუნდე (გფრ), 15 აგვისტო.** აფროსნობის გამოჩენილმა ვეტერანმა, დანიელმა პ. ელვსტრემმა ბრწყინვალედ იასპარეზა „სოლინგის" კლასის ნავებით ევროპულ ჩემპიონატში: ექვსი რბოლიდან ხუთი მოიგო და კონტინენტის ჩემპიონის სახელი შეინარჩუნა, თანაც ერთი საჯარიმო ქულაც კი არ მიიღო. შესანიშნავად გამოვიდა მოსკოველი ტ. პინეგინიც, რომლისთვის ეს იახტებით შეჯიბრება დებიუტი იყო ასეთ დიდ საერთაშორისო ტურნირში (როგორც ცნობილია, უწინ იგი „ვარსკვლავის" კლასში გამოდიოდა). 1960 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ვერცხლის მედალი მოიხვეჭა — 38,1 საჯარიმო ქულა.

დაუფასდათ

მოსკოვი, 14 აგვისტო. ევროპის ჩემპიონატში, აშშ — სსრ კავშირის მატჩში და სხვა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში მოპოვებული მაღალი შედეგებისთვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა:

ე. არანაოვს (კიევი, ახ);
ფ. მელნიკს (ერევანი, „ხუმანი").

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარტაკიადის შემდეგ სპარტაკიადაზე

„ლელოს" სპორტული განყოფილების შენიშვნები

СПАРТАКИАДА
V НАРОДОВ
СССР

ცურვა: 1. მოსკოვი (1), 2. რსფსრ (2), 3. უკრაინა (3), 4. საქართველო (9), 5. ყაზახეთი (7), 6. ლენინგრადი (4), 7. ლატვია (11), 8. ლიტვა (6).

წინა სპარტაკიადის ლიდერებმა პოზიციები შეინარჩუნეს, თანაც უნდა აღინიშნოს მოსკოველთა აშკარა უპირატესობა. ჩასათვლელ მონაწილეთა გარდა, ფინალში წარმატებით იბრძოდნენ პირად პირველობაში მოასპარეზენიც, მაგრამ, დებულების თანახმად, მათი ქულები გუნდს არ ერიცხებოდა, თორემ სხვაობა გამარჯვებულსა და II ადგილზე გასულ რუსეთის მოცურავეთა შორის ერთი ორად გაიზრდებოდა.

საგულისხმო წარმატებას მიაღწიეს საქართველოს სპორტსმენებმა, რომლებმაც IV სპარტაკიადასთან შედარებით 5 საფეხურით წინ გადაინაცვლეს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მათ ჩამოიტოვეს ისეთი აღიარებული ფავორიტი, როგორიც ლენინგრადის გუნდია. საქართველოს მოცურავეებისთვის ყველაზე არასახარბიელო იყო IV სპარტაკიადა. მანამდე ისინი ერთხელ (1956 წ.) VI გუნდურ ადგილზე გავიდნენ და ორჯერ (1959, 1963 წ.წ.) — V.

ცურვაში ჩვენ მუდამ გვყავდა თითო გამოხატული ლიდერი (ვთქვათ, ბ. ნიკიტინი ან ა. ტუტაკაევი), წლეულს კი მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა: ახლა ნაკრებში ერთნაირ დონეზე რამდენიმე სპორტსმენი გამოდის და აი, სწორედ ამ მოცურავეთა მაღალმა ოსტატობამ განაპირობა საქართველოს გუნდის საერთო წარმატება.

უპირველესად უნდა დავასახელოთ თ. ლეკვეიშვილი, რომელსაც დღესდღეობით ბადალი არ ჰყავს კავშირში და კონტინენტზე ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება გულაღმა ცურვაში. ლეკვეიშვილმა ოქროს 2 მედალი მოიპოვა, მაგრამ განსაკუთრებით დასაფასებელია მისი წარმატება 200-მეტრიან დისტანციაზე, ვინაიდან ფინალური გაცურვის დღეს იგი უძლეველი იყო.

ვაჟთა შორის გულაღმა ცურვაში ვერცხლის 2 მედალი ხვდა ვ. კრასკოს. 1500-მეტრიანი დისტანციის ფინიშთან ახლოს მეორე იყო ი. ლისეცკი. ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა ჭაბუკი მოცურავე ლ. არშაკიანი.

როგორც ხედავთ, ეგრეთ წოდებული მასობრივი ცურვა ჩვენს რესპუბლიკაში მკვდარი წერტილიდან დაიძრა. ახლა საჭიროა უფრო მრავალფეროვანი და ყოვლისმომცველი გავხადოთ საქართველოს მოცურავეთა ოსტატობა. გულაღმა ცურვაში მოპოვებული წარმატებები, რა თქმა უნდა, გვახარებს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ცურვის პროგრამა სხვა სახეობებსაც მოიცავს.

ველოსპორტი: ტრეკი. 1. რსფსრ (1), 2. ბელორუსია (4), 3. ლატვია (5), 4. ყაზახეთი (8), 5. მოსკოვი (3), 6. მოლდავეთი (—), 7. საქართველო (9), 8. უკრაინა (2). საგზატკეცილო. 1. რსფსრ (1), 2. უკრაინა (3), 3. მოსკოვი (5), 4. ყაზახეთი (7), 5. ბელორუსია (2), 6. მოლდავეთი (11), 7. ლატვია (9), 8. ყირგიზეთი (13)... 16. საქართველო (15).

ჯერ რამდენიმე სიტყვა სატრეკო ველოსპორტზე. აგერ უკვე რამდენი წელია, რაც სპორტის ეს საინტერესო სახეობა ჩვენ მხოლოობით რიცხვში გვაქვს წარმოდგენილი: არის ფხაკაძე — უეჭველად იქნება თუნდაც ოქროს ერთი მედალი, არ არის ფხაკაძე — წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია.

თუმცა წლეულს ჩვენ სპრინტის გარდა იმედს ვამყარებდით გუნდურ რბოლაზეც. ყოველ შემთხვევაში, წლის განმავლობაში ნაჩვენები შედეგები იმედს გვაძლევდა გვეფიქრა, რომ რესპუბლიკის ველოსიპედისტთა კვარტეტი სპარტაკიადის 8 ფინალისტს შორის მოხვდებოდა. მოლოდინი არ გამართლდა. გულდასაწყვეტია, ძალიან გულდასაწყვეტი. ჩვენს ველოსიპედისტებს ბედმა სწორედ იქ უმტყუნა, სადაც ყველაზე მეტად იყო საჭირო წარმატება.

ფხაკაძემ თავისი წილი ოქრო მიიღო. იგი სპრინტში ტრადიციულად ყველაზე ძლიერი იყო და მოიპოვა კიდეც სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტული. მას შეეძლო ძალა ეცადა კიდევ ერთ სახეობაში — გიტში და, დარწმუნებული ვართ, უმედლოდ არც დარჩებოდა, მაგრამ ერთ-ერთ საზღვარგარეთულ ტურნეში მიღებულმა ტრავმამ მას ვარჯიშისა და ასპარეზობის საშუალება არ მისცა. კიდევ კარგი, რომ სპრინტში მაინც გამოვიდა, თორემ აქაც, ისევე როგორც საგზატკეცილო ველორბოლაში, უქულოდ დავრჩებოდით.

მაგრამ ფხაკაძე ერთია და მისი წარმატება არაფრით არ შეიძლება გავავრცელოთ მთლიანად სატრეკო ველოსპორტზე. საინტერესოა როდემდე უნდა ვიყოთ მხოლოდ და მხოლოდ ფხაკაძის იმედით? როდის ამოუდგებიან მას გვერდში თანაგუნდელები?

საგზატკეცილო რბოლები ჩვენი სპორტის ნამდვილი აქილევსის ქუსლია. ველოსიპედისტებს თითქოს არც წვრთნა აკლიათ და არც მონდომება. არა და, ვერაფრით ვერ დაიძრა საქმე მკვდარი წერტილიდან. ჩვენ იმდენად შევეჩვიეთ წარუმატებლობას გზატკეცილზე, რომ საქართველოს ველოსიპედისტთა ცოტა თუ ბევრად ნორმალური გამოსვლა უთუოდ გაგვაოცებდა.

ნიჩბოსნობა: აკადემიური. 1. მოსკოვი (1), 2. ლენინგრადი (3), 3. რსფსრ (6), 4. ესტონეთი (5), 5. უკრაინა (2), 6. ლიტვა (4), 7. აზერბაიჯანი (8). 9. საქართველო (14). ბაიდარა და კანოე: 1. რსფსრ (1), 2. უკრაინა (2), 3. საქართველო (6), 4. ბელორუსია (10), 5. ლენინგრადი (4), 6. მოსკოვი (3), 7. ყაზახეთი (9), 8. ლატვია (8).

თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ნიჩბოსნებმა წარმატებით გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას. საპარტაკიადო ქრონიკის ზერელე ანალიზიც ცხადყოფს, რომ აკადემიურმა ნიჩბოსნებმა უდავოდ წინ გადადგეს ნაბიჯი და მერე როგორი: IV სპარტაკიადის XIV ადგილი მთელი 5 საფეხურით გააუმჯობესეს,. რვაადგილიანებით ასპარეზობში კი ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს.

მაგრამ ნამდვილი სიხარული მებაიდარეებმა და კანოისტებმა განგვაცდევინეს. რომ არაფერი ვთქვათ გუნდურ III ადგილზე (უწინ ჩვენს სპორტსმენებს ერთი V და სამი VI ადგილი ჰქონდათ), საქართველოს წარმომადგენლებმა ბრწყინვალე შედეგები აჩვენეს პირად ჩათვლაშიც. 2 პირველი და 1 მესამე ადგილი, ოქროს 4 და ამდენივე ბრინჯაოს მედალი — ასეთი წარმატებისთვის არ მიუღწევიათ ლენინგრადისა და მოსკოვის გუნდებსაც კი, რომელთა შემადგენლობებში ბევრი სახელმოხვეჭილი ოსტატი — მსოფლიო ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების პრიზიორები ასპარეზობდნენ. საქართველოს გუნდმა დააგროვა 46 ქულა — ორჯერ მეტი, ვიდრე წინა სპარტაკიადების უცვლელმა ბრინჯაოს პრიზიორმა — მოსკოვის ნაკრებმა (22). საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენი რესპუბლიკის ნიჩბოსანთა საერთო მაჩვენებელი მთელი 16 ქულით აღემატება ლენინგრადელთა შედეგს.

რესპუბლიკის ნიჩბოსანთა ქულათა მარაგის ორი მესამედი ორ და ოთხადგილიანებით მებაიდარეთა, აგრეთვე, ორადგილიანი ნავებით მოასპარეზე კანოისტთა წარმატებების წილად მოდის. ა. მატკავა — ვ. კრატასიუკის ოქროს ფინიშს მოჰყვა ზ. ხოფერია — ნ. ჩარაევის არანაკლებ დამაჯერებელი გამარჯვება, შემდეგ კი ჩვენი ოთხეულის (ა. მატკავა, ვ. კრატასიუკი, თ. ხუბერაშვილი, ა. მაქსიმენკო) ბრინჯაოს მედლები.

როგორც ხედავთ, საქართველოს წარმომადგენლებმა მტკიცედ დაიმკვიდრეს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი საბჭოთა სანიჩბოსნო სპორტში. ამიერიდან ისინიც მისცემენ ტონს ნიჩბოსანთა „დიდ ცხოვრებას".

ძალოსნობა: 1. რსფსრ (3), 2. უკრაინა (1), 3. მოსკოვი (2), 4. ლატვია (11), 5. ლენინგრადი (4), 6. საქართველო (7), 7. ყაზახეთი (5), 8. ბელორუსია (6).

უძლიერესთა ოქტეტის ხუთმა წევრმა წინა სპარტაკიადასთან შედარებით უარესი შედეგი აჩვენა. კერძოდ, თითო ნაბიჯით დაიხიეს უკრაინის, მოსკოვისა და ლენინგრადის კოლექტივებმა, ორ-ორი ნაბიჯით — ყაზახეთისა და ბელორუსიის გუნდებმა. ეს ალბათ ბუნებრივია, ვინაიდან 4 წლის მანძილზე მთელ რიგ კოლექტივებში თაობათა ცვლა მოხდა და ამან ერთგვარი დაღი დაასვა საერთო გუნდურ მაჩვენებლებს. და მხოლოდ რუსეთის ფედერაციის, საქართველოსა და ლატვიის კოლექტივებმა გააუმჯობესეს ძველი შედეგები.

რუსეთის ძალოსანთა გამარჯვებას აქვს გარკვეული კანონზომიერება, რომელიც ორი სიტყვით ასე შეიძლება გამოითქვას: საბჭოთა ძალოსნობის მთავარი დამრტყმელი ძალა სწორედ აქაა გაერთიანებული.

საქართველოს ძალოსანთა წინსვლის მთავარი „დამნაშავე" დ. შანიძე (ოქროს 3, ბრინჯაოს 1 მედალი და ერთიც ევროპული რეკორდი ატაცში) ქებათა-ქებას იმსახურებს პირველ ყოვლისა თავისი პირადი გმირობით. წარმატება უნდა მივულოცოთ ახალგაზრდა ათლეტ დ. გაბაძესაც, რომელმაც ბრინჯაოს მცირე მედალი დაიმსახურა.

შესამჩნევი ნახტომი გააკეთეს წინ ლატვიელმა ძალოსნებმა. ამ კოლექტივის IV ადგილი სპეციალისტებმა დიდ წარმატებად მიიჩნიეს, მით უმეტეს, რომ წინა სპარტაკიადაში ისინი მხოლოდ XI ადგილზე იყვნენ.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" № №160, 161.

თბილისი — სპორტული ქალაქი

„ლელო" ინტერვიუ

ოთარ კალაძე თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეა. ეს თანამდებობა მშფოთვარე და პასუხსაგებია. ბევრი უნდა იცოდე და არა მარტო სპორტში. კალაძე თამამად შეიძლება ჩაითვალოს თავისი საქმის მცოდნედ. იგი ენერგიული, საქმიანი და თვითკრიტიკულია.

გთავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის ვ. ბუკინის საუბარს ო. კალაძესთან.

● **რა წარმატებებით შეხვდნენ თბილისელი სპორტსმენები ფიზკულტურის საკავშირო დღეს?**

— ჩვენმა სპორტსმენებმა თავი ისახელეს საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში. მაგალითად, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, მშვილდოსანმა ასატუროვამ ძალიან მოკლე გზა გაიარა ახალბედიდან სპარტაკიადის ჩემპიონობამდე.

სპარტაკიადების რეკორდით (13,9 წამი) გაიმარჯვა 110 მეტრზე თარჯრბენში უნივერსიტეტის სტუდენტმა მოშიაშვილმა, ხოლო შანიძემ — ძალოსანთა შეჯიბრებაში.

თავი ისახელეს მუდამ შემართულებმა ფხაკაძემ (ტრეკზე სპრინტი) და რურუამ (კლასიკური ჭიდაობა), რომლებიც მესამედ გახდნენ სპარტაკიადის ჩემპიონები.

არ ჩამოვთვლით ყველა ჩემპიონს. ვიტყვით მხოლოდ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში თბილისელებმა დაისაკუთრეს უმრავლესობა რესპუბლიკის სპორტსმენთა მოხვეჭილი 78 მედლიდან.

● **როგორ გამოიყურება დღეს ქალაქის სპორტული პასპორტი?**

— ქალაქის თითქმის 900-ათასიანი მოსახლეობიდან ფიზკულტურასა და სპორტს მისდევს 216106 კაცი. მათგან 47696 თანრიგოსანია. ეს არის ჩვენი „ოქროს მარაგი".

● **კარგადაა ცნობილი, რომ ახლა ამინდს დიდ სპორტში ბავშვები კარნახობენ. სასიამოვნოა, რომ „განთიადის" ცენტრალურ საბჭოში ამას ყურადღებას აქცევენ და კარგ ნაყოფსაც იმკიან: ვგულისხმობ დრონოვასა და წლის მანძილზე ათამდე მომზადებულ სპორტის ოსტატს.**

— ბავშვებზე მართლაც ბევრი რამაა დამოკიდებული. ქალაქში არსებობს ბავშვთა რაიონული სპორტსკოლები და სპეციალიზებული სკოლები მძლეოსნობაში, ფეხბურთში, ტანვარჯიშში, ცურვასა და სპორტულ თამაშებში. აქ ხვეწს ოსტატობას თითქმის 15 ათასამდე მოსწავლე. მაგრამ აი, დგება ზაფხული და სპორტსკოლათა უმრავლესობა იხურება. საწყენია, რომ ქალაქის სახალხო განათლების განყოფილებას ქალაქგარეთ არ გააჩნია მუდმივი სპორტული ბანაკი. საკითხავია, რატომ უნდა იკარგებოდეს ეს ძვირფასი დრო? უნდა ვაგებდეთ სტაციონარულ ბანაკებს. შეიძლება შემოგვიდაოთ, ზამთრობით ისინი წამგებიანი გახდებაო, მაგრამ ასეთი ბანაკები რომ გაჩნდებოდეს, ვთქვათ, ბაკურიანში, ვფიქრობ, არავინ იზარალებს.

გვაშფოთებს შემდეგი გარემოებაც: როცა მოსწავლე უკანასკნელ გამოცდას აბარებს, ავტომატურად (თითქოს ასეც უნდა იყოს) კარგავს სპორტსკოლის ნახვის უფლებას. ამრიგად, წყალში იყრება მწვრთნელთა კოლექტივის მრავალწლიანი შრომა. განა შეუძლებელია რაიონულ და საქალაქო ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლებთან გაიხსნას სპორტული დაოსტატების შემდგომი სრულყოფის ჯგუფები?

● **ახლა „მოხუცებს" შევეხოთ. ორჯონიკიძის რაიონის მცხოვრებმა, სპორტის ვეტერანმა, 62 წლის ნიკოლაიშვილმა წლეულს ითაოსნა და საშუალო და ხნიერი ასაკის წარმომადგენელთათვის ფეხბურთის ტურნირი გამართა. ამ შეჯიბრებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.**

— ეს მართლაც დიდებული შეჯიბრება იყო. ვფიქრობ, „მოხუცებს" ასეთივე ტურნირები წლის ბოლოს გაიმართება ქალაქის სხვა რაიონებშიც.

ახლა ჯანმრთელობის სპარტაკიადაზე. თუ უწინ მასში მონაწილეობა შეეძლო სსრ კავშირის ნაკრების წევრსაც კი, ახლა იგი ასაკობრივი გავხადეთ: დაიშვებიან 30 წლისა და მეტი ხნის ადამიანები. წლევანდელი ჯანმრთელობის სპარტაკიადის ყველა ეტაპზე მონაწილეობდა 4000-მდე კაცი. ამასთან, მათგან ბევრმა დაამტკიცა სათანრიგო ნორმატივი. „მოხუცებთან" კარგად მუშაობენ ორჯონიკიძისა და 26 კომისრის რაიონებში.

ამასთან კარგადაა ცნობილი, რომ ჯანმრთელობის სახალხო კლუბი — „დილა" დიღმის მასივში (1-ლი მაისის რაიონი) ერთ-ერთი პირველი იყო მთელს კავშირში.

მაგრამ, რასაკვირველია, ამ საქმეშიც გვაქვს ნაკლოვანებები. მაგალითად, სახლმმართველობებში მომუშავე 77 პედაგოგ-ორგანიზატორიდან მხოლოდ ათს აქვს სპეციალური ფიზკულტურული განათლება, ხოლო მათთვის სპორტული ცოდნის ასამაღლებელი სემინარის გამართვა ჯერჯერობით ვერ შევძელით. სახლმმართველობები რატომღაც ვერ ბედავენ საერთო ფიზიკური მომზადების ფასიანი ჯგუფების შექმნას საშუალო და უფროსი ასაკის მოქალაქეებისთვის. დროა ეს საკითხი დადებითად გადავჭრათ. ხელგაშლილი ვერ ხვდებიან „მოხუცებს" ქალაქის სტადიონებზეც. დროა ძირფესვიანად შეიცვალოს ასეთი მავნე დამოკიდებულება...

მასობრივ-გამაჯანსაღებელ საქმიანობას თავს ვერ ართმევენ ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელებიც. ისინი რატომღაც ივიწყებენ ქალაქგარეთ დასვენების სახლების ან სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების შექმნას მშრომელებისთვის, პატივს არ სცემენ მასობრივ ტურისტულ ლაშქრობას. და ეს იმ დროს, როცა ჩვენში დიდი ხანია განხორციელებულია ხუთდღიანი სამუშაო კვირა.

● **როგორაა სპორტული ბაზების საქმე? დასამალი როდია, რომ ბევრი მათგანი მთლიანი დატვირთვით არ მუშაობს, თანაც, არ გააჩნია თანამედროვე აღჭურვილობა: ფოტოფინიში, განათება, ვიდეომაგნიტოფონი. სად, თუ არა რესპუბლიკის დედაქალაქში, უნდა იყვნენ მაგალითის მიმცემი ამ საქმეში?**

— დიახ, ქალაქში ბევრი ბაზაა, მაგრამ მათს მუშაობას სათანადოდ არ ვამოწმებთ. გამოდის, რომ ერთი ბაზა სავსეა, მეორე — ცარიელი. ძალიან საწყენია „დინამოს" სტადიონის რეკონსტრუქციის საოცარი გაჭიანურება. ასეთივე ბედი ხვდათ ველოტრეკისა და საჭადრაკო-მთამსვლელური კლუბის მშენებლობას. გვიან დაიწყეს მძლეოსნური მანეჟის მშენებლობა ფიზკულტურის ინსტიტუტის ტერიტორიაზე. აუცილებელი მასალის უქონლობის გამო დაგვიანებით დაიწყეს ორი სასროლო-სამონადირეო კომპლექსური სტენდის მშენებლობა სოღანლუღში. არ დაუწყიათ ორი საცურაო აუზის აგებაც. ძალიან ცუდადაა ნორჩ მოცურავეთათვის პატარა აუზების აშენების საქმე. თუმცა სასიხარულო ცნობებიც გვაქვს: მწყობრში ჩადგა დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტის სასახლე, მთავრდება „განთიადის" სამდარბაზიანი კორპუსის მშენებლობა პლეხანოვის პროსპექტზე, აშენებულია სამდარბაზიანი კორპუსი ფიზკულტურის ინსტიტუტში, დიდი ხნის წვალების შემდეგ ამოქმედდა კიროვის სახელობის ქარხნის საცურაო აუზი.

● **მაგრამ იციან კი ამის შესახებ თბილისელებმა? ანუ როგორია ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის საქმე?**

— ქალაქში ბევრგან შეხვდებით ლამაზად მოწყობილ სტენდებს, საინტერესო შეჯიბრებების ამსახველ სურათებს. ფოტოსტენდები აქვთ სპორტულ მაღაზიებსაც. ვერ გვისაყვედურებენ, რომ ქალაქში ცოტა ლექცია და საუბარი ტარდება, მაგრამ ესეც არასაკმარისია. 30-ან წლებში ჩვენში მუშაობდნენ ფიზკულტურელი საავიტაციო ბრიგადები. მათს პროგრამაში იყო: მარტივი ტანვარჯიშული ნაერთები, ისმოდა პოპულარული მელოდიები, კბილი ჰქონდათ გაკრული ადამიანებს, რომლებსაც არ სურდათ სპორტს მიჰყოლოდნენ. ვფიქრობთ, ასეთი ბრიგადები ჩვენში კვლავ გაჩნდება, ოღონდ, რა თქმა უნდა, „გართულებული" პროგრამით.

ორიოდე სიტყვას ვიტყვი ქართული ტელევიზიის სპორტულ გადაცემებზე. სამწუხაროდ, იქ მხოლოდ ფეხბურთია გაბატონებული. ცისფერ ეკრანზე თითქმის ვერ ნახავთ მძლეოსნების, მოცურავეების, ველომრბოლელების, ძალოსნების შეჯიბრებებს. განა არ შეიძლება მოვაწყოთ გადაცემები „ნორჩი მორბენლის კლუბი" ან „ნორჩი მოცურავის კლუბი"? ასეთი კლუბების შექმნა იოლი როდია, მაგრამ განა ამან უნდა შეგვაკრთოს?

განებივრებული როდი ვართ კინემატოგრაფისტებისგან. მათ აქამდე ვერ შექმნეს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი სპორტულ თემაზე. ასე რომ, სპორტის პროპაგანდის პრობლემა უამრავია.

● **გული დაგვწყვიტა მძლეოსანთა გამოსვლებმა ხალხთა V სპარტაკიადაში. რა ღონისძიებები ტარდება ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტში მდგომარეობის გამოსასწორებლად?**

— ჩვენს ქალაქში ამ დარგის ბევრი ცნობილი სპეციალისტი ცხოვრობს. დავასახელებთ სანაძეს, შავლაყაძეს, იოსელიანს, გოკიელს, დუმბაძეს... ახლაც გვყავს კარგი მძლეოსნები — მოშიაშვილი, დელა-როსა, ტუღუში...

რა თქმა უნდა, გვყავს პერსპექტიული ახალგაზრდობაც — ალიაკრინსკაია, ფხაკაძე, პრესნოვი და სხვები. მაგრამ ამ სახელების ჩამოთვლამ არ უნდა აგვიხვიოს თვალები მძლეოსნობაში ჩავარდნაზე. ქალაქში იშვიათად ტარდება მასობრივი ტურნირები „მორბენლის დღე", „მხტომელის დღე", „მტყორცნელის დღე". იშვიათია შეჯიბრებები სპორტულ კლუბებს შორის მძლეოსნობის ცალკეულ სახეობებში, საკლასიფიკაციო შეჯიბრებები.

ჩვენს ქალაქში, როგორც ვთქვით, ბევრი შესანიშნავი მწვრთნელი მუშაობს, ხელფასიც გვარიანი აქვთ, მაგრამ მათი შრომის სრულწონიანობას ვერ ვხედავთ. დროა სერიოზულად ჩავუფიქრდეთ მძლეოსნობის მდგომარეობას ჩვენს ქალაქში.

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

გუნდები, გოლები, ქულები

15 აგვისტოს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეტად საინტერესო შეხვედრა: გათამაშების ლიდერებმა — კიევის დინამოელებმა შინ მიიღეს სსრ კავშირის თასის მფლობელი — მოსკოვის „სპარტაკი“.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:2. ანგარიში გახსნა პუზაჩმა. შემდეგ მუნტიანმა ზუსტად გამოიყენა პენალტი, ხოლო 72-ე წუთზე მოულოდნელი დარტყმით კოლოტოვმა მესამედ აიღო სპარტაკელთა კარი.

მატჩის დასასრულამდე სპარტაკელებმა კალინოვმა (პენალტით) და ჰუსაინოვმა შეძლეს 2 გოლის გაქვითვა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	21	13	7	1	28—8	33
„არარატი“ (ერევანი)	19	9	7	3	24—14	25
„დინამო“ (მოსკოვი)	20	8	8	4	25—10	24
ცსკა	23	7	9	7	27—21	23
„კარპატი“ (ლვოვი)	21	5	11	5	27—28	21
„ზარია“ (ვოროშილოვგრადი)	18	7	6	5	20—13	20
„ნეფთჩი“ (ბაქო)	18	6	7	5	24—19	19
„დინამო“ (თბილისი)	18	7	5	6	17—24	19
„ტორპედო“ (მოსკოვი)	18	3	12	3	12—10	18
„ქაირატი“ (ალმა-ათა)	20	5	8	7	24—29	18
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	18	4	8	6	19—21	16
„შახტიორი“ (დონეცკი)	19	7	2	10	18—20	16
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	19	5	6	8	18—24	16
„დინამო“ (მინსკი)	19	3	9	7	20—27	15
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	20	2	10	8	12—34	14
სკა (დონის როსტოვი)	17	3	5	9	15—28	11

I ლიგა

მოგვყავს 13 აგვისტოს ჩატარებულ შეხვედრათა შედეგები: „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „მოლდოვა“ (კიშინიოვი) 3:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „რუბინი“ (ყაზანი) 2:0, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 3:0, „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 0:3, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 2:1, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „დაუგავა“ (რიგა) 1:1, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 3:1, „კუზბასი“ (კემეროვო) — „დინამო“ (ლენინგრადი) 4:2, „ვოლგარი“ (ასტრახანი) — „ალგა“ (ფრუნზე) 2:0, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „შახტიორი“ (ყარაგანდა) 1:0, „სტროიტელი“ (აშხაბადი) — „პამირი“ (დუშანბე) 1:2.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 17 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	26	17	6	3	44—17	40
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	26	16	6	4	51—21	38
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)	26	15	7	4	33—13	37
„ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო)	26	9	12	5	27—20	30
„მეტალისტი“ (ხარკოვი)	26	12	4	10	31—27	28
„შახტიორი“ (ყარაგანდა)	26	10	7	9	25—22	27
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	26	9	9	8	21—19	27
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	26	10	6	10	30—24	26
„ტორპედო“ (ქუთაისი)	26	8	10	8	34—35	26
„კუზბასი“ (კემეროვო)	26	9	8	9	26—34	26
„პამირი“ (დუშანბე)	26	10	5	11	24—24	25
„შინიკი“ (იაროსლავლი)	26	10	5	11	26—30	25
„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)	26	7	10	9	22—23	24
„დაუგავა“ (რიგა)	26	7	10	9	17—20	24
„ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	26	8	8	10	22—28	24
„დინამო“ (ლენინგრადი)	26	9	5	12	24—28	23
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	26	9	5	12	28—40	23
„სტროიტელი“ (აშხაბადი)	27	9	4	14	26—36	22
„ალგა“ (ფრუნზე)	26	6	9	11	21—29	21
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	27	6	9	12	14—26	21
„ვოლგარი“ (ასტრახანი)	26	5	10	11	19—33	20
„რუბინი“ (ყაზანი)	26	5	7	14	18—34	17

რესპუბლიკის თასზე

გაიმართა საქართველოს თასის მეოთხედფინალური შეხვედრები: „სინათლე“ (თბილისი) — ატკ-3 (თბილისი) 6:1, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სულორი“ (ვანი) 4:2, „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 3:2. ლანჩხუთის „გურიას“ გამარჯვება ჩაეთვალა წულუკიძის „ფეიქართან“.

18 აგვისტოს გაიმართება თასის ნახევარფინალური მატჩები. ერთმანეთს ხვდებიან „მაღაროელი“ — „გურია“, „სინათლე“ — „მეტალურგი“.

საბჭოთა გუნდის ბრინჯაოს დღე

ჰელსინკი, 15 აგვისტო. ევროპის ჩემპიონატის ბოლოსწინა დღეს, შაბათს, მძლეოსნობის ფინელი მოყვარულები ოლიმპიურ სტადიონზე იმ იმედით მოვიდნენ, რომ კვლავ ეზეიმათ თავიანთი კერპის ი. ვაატაინენის გამარჯვება, ამჯერად, 5000 მეტრზე რბენაში. მაგრამ მანამდე ისინი მიესალმნენ არა თანამემამულეს, არამედ შორეული ალმაათიდან ჩამოსულ სპორტსმენს, 32 წლის ბ. სოლდატენკოს, რომელმაც 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ყველა მეტოქე ჩამოიტოვა. სტადიონის ბილიკზე მხოლოდ ერთი წუთის შემდეგ გამოჩნდა მეორე სპორტსმენი — მსოფლიო რეკორდსმენი კ. ჰენე (გდრ), ამ მომენტში კი სოლდატენკომ ფინიში გადაკვეთა. წითელმაისურიანმა სპორტსმენმა გამარჯვების შემდეგ „სიხარულის ცეკვა“ შეასრულა. რა თქმა უნდა, მას საამისო საბაბი დიდი ჰქონდა. ხუმრობა საქმე როდია ჩამოიტოვო მსოფლიო რეკორდსმენი და ოლიმპიური ჩემპიონი და დისტანცია ევროპის ჩემპიონატების საუკეთესო დროით დაამთავრო — 4:02.22,0. ფინიშთან მეოთხე იყო ევროპული ჩემპიონატის დებიუტანტი ო. ბარჩი (4:09.14,4), ხოლო მეშვიდე — საბჭოთა ნაკრების ასევე დებიუტანტი, საქართველოს წარმომადგენელი ი. დელა-როსა (4:12.08,6).

დიახ, დიდი ზეიმია სპორტული სიარულის საბჭოთა ოსტატების ქუჩაზე! პირველად ევროპის ჩემპიონატებში მათ ორივე დისტანციაზე გაიმარჯვეს — აღადგინეს და ამრავლეს წარსულის სახელოვანი ტრადიციები.

...უროს მტყორცნელთა შორის ოქროს მედლის ბედი გადაწყდა შეჯიბრების დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე: ტოკიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა უ. ბაიერმა (გფრ) 72,36 მეტრზე გაგზავნა ეს იარაღი და პირველობაც მოიგო. დასავლეთგერმანელი ტურისტები ტრიბუნებზე ხმამაღლა გაიძახოდნენ: „უვე, უვე!“.

ბაიერის შედეგი თუმცა შორსაა ევროპის ჩემპიონატების რეკორდისგან, რომელიც 1969 წელს დაამყარა საბჭოთა ათლეტმა ა. ბონდარჩუკმა, მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეშია, ვინაიდან რეკორდსმენი მხოლოდ მესამე იყო: კიეველის საუკეთესო ნატყორცნი ამ დღეს 71,40 მეტრს უდრიდა. მას გაუსწრო გდრ-ის წარმომადგენელმა რ. ტაიმერმაც — 71,80 მ. IV ადგილი ხვდა ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონს, ბელორუსიელ რ. კლიმს — 70,64 მ. საბჭოთა გუნდის „ახალგაზრდა იმედი“ — სტავროპოლელი ვ. ხმელევსკი, რომელმაც წლეულს არაერთხელ გაგზავნა ურო 72 მეტრს იქით, ამჯერად ფინალშიც კი ვერ მოხვდა — სულ 67 მ აჩვენა.

დაამთავრეს შეჯიბრება ხუთჭიდელებმა. ცუდად როდი ირბინა ლენინგრადელმა ტ. კონდრაშოვამ (24,2): მან თავისი გარბენი მოიგო და საბოლოოდ 4887 ქულა დააგროვა, რამაც მხოლოდ VII ადგილი მოუტანა. სსრ კავშირის რეკორდსმენი ვ. ტიხომიროვა (ორიოლი) შორს იდგა თავისი საუკეთესო შედეგისგან — მან 4986 ქულით V ადგილი დაიკავა. გაიმარჯვა სიგრძეზე ხტომაში მსოფლიო რეკორდსმენმა, კიოლნის სპორტული კოლეჯის სტუდენტმა ჰ. როზენდალმა — 5299 ქულა. ვფიქრობთ, საბჭოთა სპორტსმენებისთვის დამაბრკოლებელი გამოდგა სიმაღლეზე ხტომა: მათ წლეულს დაიწყეს ფოსბიურის ყაიდის ათვისება, რამაც სასურველი შედეგი როდი მოიტანა: მათ 170 სანტიმეტრამდეც კი ვერ მიაღწიეს.

ტრიბუნების აუწერელ ყიჟინში დაამთავრეს ასპარეზობა 5000 მეტრზე მორბენლებმა — კვლავ წინ იყო მზით გარუჯული, ოქროსფერბაკენბარდებიანი ვაატაინენი. მაყურებლების აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. მსაჯებიც კი გარბოდნენ გამარჯვებულისკენ, რათა მიელოცათ ევროპის ორგზის ჩემპიონობა. თულულელმა მასწავლებელმა ოქროს მეორე მედალი მოიგო და ფინეთის რეკორდიც დაამყარა — 13.32,6. ლიტველი ტ. შიმონელისი მეათე იყო (13.42,8), ხოლო მეორე საბჭოთა მორბენალმა, მოსკოველმა ვ. აფონინმა უქეიფოდ იგრძნო თავი და რბენა მიატოვა.

გვიან ღამით დაამთავრეს შეჯიბრება სიმაღლეზე მხტომელმა ვაჟებმა. პატარა წვიმის მიუხედავად ხალხით გაჭედილმა ტრიბუნებმა მხურვალედ მიულოცეს გამარჯვება ევროპის ახალ ჩემპიონს, ვილნიუსის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტს კ. შაპკას. აი, ამ ათლეტს კი გამოადგა ფოსბიურის სტილი: მან 220 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა დაძლია. ასეთივე შედეგით ვერცხლის მედალი მოიპოვა რუმინელმა ჩ. დოჟამ (ეს სიმაღლე მან მეორე ცდით აიღო, თანაც ეროვნული რეკორდი დაამყარა). III ადგილზეა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონი რ. ახმეტოვი, რომელმაც იგივე სიმაღლე მესამე ცდით დაძლია. ვ. გავრილოვი X ადგილს დასჯერდა — 211 სმ.

...ვ. სანეევს ნახტომი არ გამოუდიოდა. ოლიმპიური ჩემპიონი ისევ და ისევ უკან ვარდებოდა და ხელებს ეყრდნობოდა, რის გამოც ძვირფას სანტიმეტრებს კარგავდა. ამასთან, ჩემპიონატის ბოლო დღეს, 15 აგვისტოს, როგორც აღვნიშნეთ, წვიმდა, რასაც, რა თქმა უნდა, ხელი შეუშალა შეჯიბრების ნორმალურ მსვლელობას. და აი, სოხუმელი აგრონომის მესამე ნახტომი. სანეევი სწრაფად გარბის, მძლავრად ირეკნება და მაინც კვლავ ეხება ხელით ქვიშას. ეს რომ არა, ნახტომი მსოფლიო რეკორდს მოუტანდა, ახლა კი „მხოლოდ“ 17,10 მეტრს უდრის.

ოლიმპიური ჩემპიონი განაწყენებულია: სხვა შეჯიბრებაში ეს შედეგი თამამად ეყოფოდა გამარჯვებისთვის, ამჯერად კი ვიქტორმა მხოლოდ ვერცხლი მოიგო. უმაღლესი ჯილდო მოიხვეჭა გდრ-ის სპორტსმენმა ი. დრემელმა, რომელმაც პირველ ნახტომშივე 17,16 მ აჩვენა. III ადგილზეა რუმინელი კ. კორბუ — 16,87. გ. ბესონოვი მეშვიდეა (16,26), ხოლო ლ. შალევიჩი — მერვე (16,24).

შეჯიბრების შემდეგ ვიქტორი ნაღვლიანად გვიამბობდა: „უკვე ორი თვეა, რაც დავშავდი და ნამდვილი ვარჯიში მხოლოდ ორი კვირის წინ დავიწყე. შეჯიბრებაში გამომდის ერთი, ხანდახან ორი ნახტომი, მერე კი აუწერელ ტკივილს ვგრძნობ. ასე იყო დღესაც. ერთადერთი ხეირიანი ცდა ექვსიდან. რა თქმა უნდა, საწყენია ევროპის ჩემპიონობის დათმობა თუნდაც ისეთი ძლიერი სპორტსმენისთვისაც, როგორიც დრემელია, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ოლიმპიადაში შურს ვიძიებ. იქ რომ პირველი იყო, საჭიროა ძალიან შორს გადახტე...“

დიახ, ჩემპიონატის ბოლო დღე საბჭოთა გუნდისთვის ბრინჯაოსი გამოდგა: მხოლოდ სანეევი ავიდა საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე.

მაყურებლები დიდი გულისყურით ადევნებდნენ თვალს ბილიკებზე და სექტორებში გამართულ მძაფრ ბრძოლებს. ამ პაექრობაში იშვა მსოფლიოს ორი რეკორდი, თანაც ორივეს ავტორები გდრ-ის მძლეოსნები იყვნენ: 4X400 მეტრზე ესტაფეტაში რ. კუნემ, ი. ლოზემ, ჰ. ზაიდლერმა და მ. ზერტმა 3.29,3 აჩვენეს.

საბჭოთა ქალებმა რ. ნიკანოროვამ, ვ. პოპკოვამ, ნ. კოლესნიკოვამ და ნ. ჩისტიაკოვამ III ადგილი დაიკავეს — 3.34,1.

სურათებზე: ევროპის ჩემპიონები ასპარეზობისას — ზევით — ნ. ჩიჟოვა (ბირთვის კვრა), ქვევით — ნ. სმაგა (20 კილომეტრზე სპორტული სიარული).

დასანანი იყო საფრანგეთის კვარტეტის წაგება: 400 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენ ნ. დიუკლოს ჯოხი გაუვარდა.

II ადგილზეა გფრ-ის კვარტეტი — 3.33,0.

ახალი მსოფლიო რეკორდით დაამთავრა 1500 მეტრზე ფინალური გარბენი კ. ბურნელაიტმა (გდრ) — 4.09,6. II ადგილზეა გ. ჰოფმაისტერი (გდრ) — 4.10,3, III — ე. ტიტელი (გფრ) — 4.10,4. კრასნოდარელი ლ. ბრაგინა მეექვსე იყო — 4.13,9.

3000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა 29 წლის ლვოველმა პ. სისოევმა, რომელმაც დისტანცია პირადი რეკორდით დაამთავრა — 8.26,4. ფინიშთან პირველი იყო ფრანგი ჟ.-პ. ვილენი — 8.25,2. II ადგილზე გასულმა დ. მორავჩიკმა ჩეხოსლოვაკიის რეკორდი დაამყარა — 8.26,2. ლიტველმა რ. ბიტემ IV ადგილი დაიკავა — 8.27,0.

ლ. ჟარკოვამ, გ. ბუხარინამ, მ. სიდოროვამ და ნ. ბესფამილნაიამ ბრინჯაოს მედლები მოიხვეჭეს 4X100 მეტრზე ესტაფეტაში — 44,5. გაიმარჯვა გფრ-ის ოთხეულმა (ე. შმიტენჰელმი, ი. ჰელტენი, ა. ირგანგი და ი. მიკლერ-ბეკერი): მისი შედეგი — 43,3 — ევროპის რეკორდია.

ვერცხლი გდრ-ის გუნდს ხვდა — 43,6.

სენსაციურად დამთავრდა შეჯიბრება 4X100 მეტრზე ვაჟთა ესტაფეტაში: გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელებმა — 39,3 წამი. საბჭოთა მორბენლები V ადგილით დაკმაყოფილდნენ (ისინი უბორზოვოდ გამოდიოდნენ) — 40,0.

ოქროს ბოლო მედალი მარათონულ რბენაში გათამაშდა. იგი წილად ხვდა ბელგიელ კ. ლისმონს — 2:13.09,0. მან გააუმჯობესა ევროპის ჩემპიონატების მიღწევა, რომელიც 1958 წლიდან ეკუთვნოდა საბჭოთა სპორტსმენ ს. პოპოვს.

ამრიგად, სსრ კავშირის წარმომადგენლებმა მოიპოვეს ოქროს 9, ვერცხლის 3 და ბრინჯაოს 8 მედალი. მათ იმდენივე უმაღლესი ჯილდო ხვდათ, რამდენიც წინა პირველობაში, მაგრამ საერთო ჯამში — ოთხით ნაკლები.

ყველაზე დიდი წარმატება იზეიმეს გდრ-ის მძლეოსნებმა, რომელთა ნადავლი ასეთია: 12 ოქრო, 13 ვერცხლი, 7 ბრინჯაო.

საიუბილეო, X ჩემპიონატი დამთავრდა. შემდეგი 1974 წელს გაიმართება რომში.

ბ. ბუხოვცევი,
ვ. კუმანოვი.
(საკდესის სპეც. კორ.).

ტექნიკური შედეგები:

110 მეტრზე თარჯრბენი.

1. ფ. ზიბეკი (გდრ) — 14,0.
2. ა. პასკოე (ინგლისი) — 14,1.
3. ლ. ნადენიჩეკი (ჩეხოსლოვაკია) — 14,3.
4. ა. მოშიაშვილი (სსრ კავშირი) — 14,4.

4X400 მეტრზე ესტაფეტა. ვაჟები.

1. გდრ — 3.02,9.
2. პოლონეთი — 3.03,6.
3. იტალია — 3.04,6.
5. სსრ კავშირი (ე. ბორისენკო, ვ. ნოსენკო, ს. კოჩერი, ა. ბრატჩიკოვი) — 3.04,8.

4X100 მეტრზე ესტაფეტა. ვაჟები.

1. ჩეხოსლოვაკია — 39,3.
2. პოლონეთი — 39,7.
3. იტალია — 39,8...
4. სსრ კავშირი (ა. კორნელიუკი, ა. ჟიდკიხი, ა. ლებედევი, ა. ჩებიკინი) — 40,0.

ბადროს ტყორცნა. ვაჟები.

1. ლ. დანეკი (ჩეხოსლოვაკია) — 63,90 მ.
2. ლ. მილდე (გდრ) — 61,62.
3. გ. ფეიერი (უნგრეთი) — 61,54.

1500 მეტრზე რბენა. ვაჟები.

1. ფ. არეზე (იტალია) — 3.38,4.
2. ჰ. შორდიკოვსკი (პოლონეთი) — 3.38,7.
3. ბ. ფოსტერი (ინგლისი) — 3.39,2...
10. ვ. პანტელეი (სსრ კავშირი) — 3.42,9.
11. ვ. სემიაშკინი (სსრ კავშირი) — 3.44,2.

მარათონული რბენა.

1. კ. ლისმონი (ბელგია) — 2:13.09,0.
2. ტ. რაიტი (ინგლისი) — 2:13.59,6.
3. რ. ჰილი (ინგლისი) — 2:14.34,8...
13. ი. ვოლკოვი (სსრ კავშირი) — 2:19.56,6...
19. ი. ველიკოროდნიხი (სსრ კავშირი) — 2:21.59,0.
20. ა. ბარანოვი (სსრ კავშირი) — 2:22.16,0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზიზ ნესინი

გადამდები სენი

ხალხით გაჭედილ ავტობუსში ერთმა ყავარჯნიანმა კაცმა მიიპყრო ყველას ყურადღება. ისე საცოდავად გამოიყურებოდა, გეგონებოდათ შეცდომით სხვა მანქანაში მოხვდაო. მართლაც, მისი ადგილი ავტობუსში კი არა, სასწრაფო დახმარების მანქანაში უფრო იყო. თაბაშირში ჩასმული მარცხენა ხელი ზონარზე ეკიდა. ცალი თვალი ჩალურჯებული ჰქონდა, მეორე კი სულ დავსებოდა. თავშეხვეული და ყავარჯენზე დაყრდნობილი ქანქარასავით აქეთ-იქით ქანაობდა, თან წინ მიიწევდა, დასაჯდომ ადგილს ეძებდა და კვნესოდა: ვაიი... ოოჰ... ალაჰ...

ავტობუსს რომ ძლიერად ჩაებუქნა, ეს კაცი ალბათ ნაწილ-ნაწილ დაიშლებოდა. ერთ-ერთ მგზავრს შეებრალა და ადგილი დაუთმო.

— ალაჰმა გიშველოს, — კვნესით მადლობა გადაუხადა თავაზიან კაცს.

— გამარჯობათ, სელმან ბეი, — მიესალმა ნაცნობი, რომელიც იქვე იდგა.

— ოოოჰ! ვაიმეეე... გაგიმარჯოს, შერაფედინ ბეი. ალაჰ... გავთავდი კაცი, ვაიმეეე...

— კი მაგრამ, რა მოხდა, სელმან ბეი, რა მოგივიდათ?

— აახ, ნუ მკითხავთ, აგერ სამი თვეა ამ დღეში ვარ.

— ავადა ხართ, სელმან ბეი? რა გაწუხებთ?

— ეეჰ, ესეც ავადმყოფობაა, აბა, რა ჯანდაბაა. გავთავდი კაცი.

— რა მოხდა? ექიმი რას ამბობს? დიაგნოზი?

— ვაიმეე, ვაიმეე... რა შუაშია ექიმი, ძმაო, ექიმმა რა უნდა მიშველოს. ვაი, ვაიიიი... ალაჰმა ასეთი რამ მტერსაც ნუ დამართოს. სულ დაზეგვილი ვარ, ფეხს ვეღარ ვდგამ...

— სელმან ბეი, ექიმთან მიდით აუცილებლად, მიდით საავადმყოფოში.

— რას ამბობ, კაცო, საავადმყოფოში რა მინდა?! საავადმყოფოში კი არა, მგონი სულაც საგიჟეთში ვარ წასაყვანი. ვაიმეე, ვაიიი... თანაც გადამდები სენიც ყოფილა ეს ოხერი!

შერაფედინ ბეიმ ცოტა უკან დაიხია და უთხრა:

— მაშ ქუჩაში არ უნდა გამოხვიდეთ!

— ააჰ... ვაიი... აბა, შინ რა გამაჩერებს? თქმა ადვილია. ვისაც ეს სენი შეეყრება, ქუჩაში გამოვა კი არა... ჩემმა ვაჟმა გადამდო, აბა!

— ისიც ავად არის?

— ავად და მერე როგორ! მთლად მოშლილია. ქრონიკული... ვაიიიმეეე... ყური მიგდეთ, ახლავე გიამბობთ, ბატონო ჩემო, როგორ დავსნეულდი: ჩემმა შვილმა ვერაფრით ვერ დაამთავრა ლიცეუმი. მეცხრე ჯგუფში ორ წელიწადს ისწავლა. მეათეშიც ორ წელიწადს იჯდა და სულ ამ ბურთის გამო. ააახ, ალაჰ... ვეჩიჩინებოდი: შვილო, მოეშვი ამ ბურთს, მომავალს მიხედე-მეთქი, მაგრამ გაგიგონია! როგორ მოვეშვაო, მეუბნებოდა ხოლმე. და აი, მომავალიც დაკარგა და ცხოვრებაც. ყოველი მატჩის დღეს ომგადახდილივით ბრუნდება შინ. მადლობა ალაჰს, მარცხენა ფეხი მოტეხეს და უკვე აღარ თამაშობს. ზოგი ჭირი მარგებელიაო. ვაიმეეე, ვაააიი... ფეხი რომ არ მოეტეხათ, ნამდვილად ხელში შემოაკვდებოდათ. კოჭლი იყოს, ჯანდაბას, ცოცხალს მაინც ვუყურებ. ვაიიიი... ძვლებს სულ ლაწა-ლუწი გაუდის... ჰოდა, ეს იყო და ეს, გადამერია ბიჭი, ფეხბურთის გიჟი შეიქნა. უმაგისოდ თამაში როგორ ჩატარდება. ფეხბურთის გულისთვის ხან ანკარაშია, ხან იზმირში. არა, წასვლა არაფერია, მაგრამ ყოველი მატჩის შემდეგ ლოგინად ჩავარდება ხოლმე. ერთხელაც ვკითხე: შვილო, ხმა რამ ჩაგიწყვიტა-მეთქი, და ყვირილმა, მამაჩემო, ყვირილმაო — მიპასუხა. მერე, შვილო, შენც ნუ იყვირებ-მეთქი, და... თქმა ადვილია, წამოდი და ნახავ, თუ არ იყვირებო.

ერთხელ თავგაპობილი დაბრუნდა, მეორეჯერ ცხვირგატეხილი და თვალჩალურჯებული. კაცო, რა დაგემართა, რას დამსგავსებიხარ-მეთქი, ვკითხე. ვიჩხუბეთო. მერე და, თამაშის დროს ჩხუბი როგორ შეიძლება-მეთქი! ალბათ შეიძლებაო, მიპასუხა. კი მაგრამ, მაინც რა გაჩხუბებთ-მეთქი, — აღარ მოვეშვი და ისევ მიპასუხა: წამოდი და ნახავ ერთი, თუ არ იჩხუბებო... ერთ მშვენიერ დღეს პოლიციაში ამოყო თავი: ჩხუბის გამო წაეყვანათ. ორჯერ სასწრაფო დახმარების საავადმყოფოდან გამოვიყვანეთ. ვემუდარებოდი, შვილო, თავს მოუარე, თორემ სიცოცხლეს გამოგასალმებენ-მეთქი. ვიცი, მამა, ვიცი, მაგრამ, რა ვქნა, ვერ ვჩერდები, თქმა ადვილია, წამოდი და თავად ნახეო.

ჰოდა, მეც ავდექი და ერთხელ მართლაც წავყევი. მივედით თუ არა, თამაში დაიწყო. სულაც არ მედარდებოდა, ვინ ვის უგებდა, ვინ ვის თელავდა: ვიჯექი ჩემთვის და მოთამაშეებზე მეტად მაყურებლებზე მეცინებოდა. მერე ის იყო, ბატონო ჩემო, „გაზჰანეს“ გუნდის კარში ბურთი შეავდეს, მაგრამ მსაჯმა ნაღდი გოლი არ ჩათვალა. მე კი უსამართლობას საერთოდ ვერ ვურიგდები და დავიღრიალე: ჰეეეი... მსაჯს სათვალე მიართვით, სათვალე!

სხვებმაც მომბაძეს. მერე, ბატონო ჩემო, ვიღაცამ შემომძახა, მსაჯი ჭკვიანი კაცია, გოლი არ არისო!

ისე კი, ნაღდი გოლი იყო. ვერ მოვითმინე და ვუთხარი: მსაჯი უსამართლობას იჩენს, მეორე გუნდიდან ფული ჩაიჯიბა-მეთქი. შენ, ეეიი, ვირის შვილო, ეგეთი რამ როგორ შეიძლებაო? — შემომიყვირა. ვირის შვილი მამაშენია-მეთქი, მივახალე. მივახალე და ცხვირში ისე ჩამაფარა, რომ იქვე ჩავიკეცე. კიდევ კარგი, მეზობლები დამეხმარნენ, თორემ ისე დამნაყავდა, ვეღარ ამკრეფდნენ.

ფეხბურთის მატჩზე პირველად ვიყავი და იქაური ადათ-წესები არ ვიცოდი. თურმე, რაც უნდა გითხრან, ხმა არ უნდა ამოიღო.

მერე წამოდგომა მოვიწადინე. ცხვირიდან სისხლი თქრიალით ჩამომდიოდა. ვიფიქრე, შვილი ახლა მაინც მიშველის-მეთქი! დავუძახე კიდეც, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! მოიცა, მამა! ვერა ხედავ? გოლია, გოლია! — გამომძახა იქიდან.

ცხვირსახოცაფარებული ავდექი. აი, სწორედ მაშინ ჩამენერგა იმ გუნდის სიყვარული, რომელსაც მსაჯმა გოლი არ ჩაუთვალა.

როცა ბურთი აქეთ გამოგორდა, თითქოს ეს არის მომიახლოვდაო, თავი ვეღარ შევიკავე და მთელი ძალღონით ფეხი მოვიქნიე, მაგრამ იმ წამსვე გავიფიქრე, ხომ არ გავგიჟდი-მეთქი და გავჩერდი. მერე ისევ დამავიწყდა ყველაფერი, გავცხარი და გამოვკარი, თანაც ისე ძლიერად, ბურთისთვის მართლა რომ დამერტყა, ბადეს გაგლეჯდა, თანამგზავრივით ცაში აიჭრებოდა და მთვარეს შეასკდებოდა. ისე ავღელდი, რომ ჩემს წინ მჯდარ კაცს კინაღამ საჯდომში ამოვარტყი ფეხი! მერე კი, იცოცხლე: პარდონ, მაპატიეთ, ბოდიში!

ამ დროს ვიღაცამ უკნიდან ისე მითავაზა წიხლი, რომ თვალებიდან სიმწრის ცრემლები წამსკდა. ეჰ! მაშინ კი მივხვდი, რომ წიხლების სროლა აქ სულაც არ ითვლებოდა სამარცხვინო საქმედ, ყველა ერთიმეორეს უჭიტლავებს, მაგრამ შეგნებულად კი არა, ისე — თითქოს არაფერია. უბრალოდ, აღელვებულ კაცს ბურთი ჰგონიხარ და გირტყამს.

გამიგეთ, შერაფედინ ბეი! ბურთი ერთი კილომეტრითაა შენგან დაშორებული, შენ კი აქედან გინდა გაჰკრა. აი, ასე დავიწყეთ ტლინკაობა. მე მათ ვთავაზობდი, ისინი მე, თანაც სრულიად უმიზნოდ: ამ დროს კაცი ისეთ დღეშია, რომ ტკივილს ვერ გრძნობს. მერე, ბატონო ჩემო, იმ ჩვენს კარში ერთი გოლი გაიტანეს. უსინდისო მსაჯმა გოლი ჩათვალა. ჰოდა, მეც ამევსო მოთმინების ფიალა, ვეღარ მოვითმინე ასეთი უსამართლობა და ხმის ჩახლეჩამდე ვიღრიალე: აარაამზაადაა!

ვეღარ შევიკავე თავი, ხელ-ფეხი ზამბარასავით ამიკანკალდა. თურმე ჩემს გვერდით წყლის გამყიდველი მდგარა. კალათში ჩაწყობილ პატარა ბოთლებს ხელი დავტაცე და მსაჯს ზედიზედ გავუქანე. კიდევ კარგი, რომ სხვა რამეც არ იყო სიახლოვეს! ბომბი რომ ყოფილიყო, ალბათ იმასაც ვესროდი. ატყდა ერთი ამბავი, მაყურებლები ერთმანეთს დაერივნენ. ყოველ კაცს თითო კაცისთვის ჩაევლო ხელი. მე ერთ ათი წლის ბიჭუნას დავტაკებივარ, ლაჯებში ამომიდგეს და ალბათ დავახრჩობდი კიდეც იმ უბედურს, დროზე რომ არ ეყვირა: ძია, მე თქვენი გუნდის მომხრე ვარო და ხელიდან გამისხლტა. სწორედ ამ დროს ერთმა ახალგაზრდამ წამაქცია: მირტყამს და მირტყამს... ვუცახე შვილს, მაგრამ სადაა კაცი-პატრონი. თურმე მინდორზე გადამხტარა და მსაჯისთვის ეთავაზებია. პოლიციააა! დავიღრიალე. შველას ვითხოვდი, მაგრამ პოლიციელებიც ხელჩართულ ბრძოლაში იყვნენ — ვინ ფეხბურთელებს ურტყამს და ვინ მაყურებლებს დასდევს ჯოხებით. მერე ვიღაცამ ფეხქვეშ ამომიდო. ადამიანო! შენ რომელი გუნდის მომხრე ხარ, ჰა, ჩვენ ორივე ერთი გუნდის მომხრენი ვართ და ტყუილუბრალოდ მირტყამ-მეთქი? კიდევ კარგი, რომ ვუთხარი. მართლაც ორივე ერთი გუნდის გულშემატკივრები ვყოფილვართ. მაგრამ ხომ იცით, ადამიანი რა სასტიკი არსებაა: სად ვეძებო ახლა იმ გუნდის მომხრეო, მითხრა და მუშტებმოღერებული მკლავები დაუშვა. მეც დრო ვიხელთე და გამოვექეცი.

გადავრჩი! როცა მაყურებლებიდან ვერავინ ჩაიგდო ხელში, გაშმაგებულმა ტრიბუნის სკამებს ეცა და ღრღნა დაუწყო.

როგორც იქნა, ორივე მხარე შეთანხმდა, მატჩი დაიწყო. ისევ დავიწყეთ ჩვენი გუნდის წახალისება. ჰა, ჰა, ვაშა, ვაშაა... ღრიალისგან ხმა ჩამეხრინწა. ვიღაცას ხელში თუნუქა ეჭირა და გამალებით არახუნებდა. მეც იმას დავემატე. ახლა კი ნამდვილი წარღვნა დაიწყო. მინდორზე ორი ფეხბურთელი ერთმანეთს ეძგერა. იმათ რა გააჩერებდა...

ჩვენც ერთმანეთს დავერიეთ. ერთმა ფეხში ჩამავლო ხელი და ჰაერში ამაფრიალა. ღმერთო, რას არ მოესწრება კაცი... მერე რა მოხდა, აღარ მახსოვს. თვალი საავადმყოფოში გავახილე.

— აჰა, მაშ იმის შემდეგ ხართ ასე? — შეეკითხა შერაფედინ ბეი.

— მეორე კვირას ჩვენს გუნდს სხვა გუნდთან უნდა ეთამაშა. ვეღარ გავუძელი, თქმა ადვილია. თქვენ რომ ყოფილიყავით, არ წახვიდოდით? რომ დაგაბან კიდეც, ვერ გაჩერდებით. აააჰ, ალაჰ... ოოიიი... ყველაფერი მტკივა.

სელმან ბეის ჩამოკიდებული ხელიდან რაღაცა გაუვარდა, დაიხარა, აიღო და დასძინა:

— ამ თუნუქას ხმა სიდედრის ჭიჭყინს მაგონებს. როგორც კი ხმა ჩამეხრინწება, ამის ბრახუნს ვიწყებ...

ავტობუსი გაჩერდა. ბანდში ერთიანად გახვეული კაცი კვნესით წამოდგა.

— კარგად გნახეთ, შერაფედინ ბეი.

— ახლა საით გასწიეთ? ექიმთან?

— არა გეთაყვა, სტადიონზე მივდივარ, სტადიონზე. ოოო, ვააიი, იიჰ...

თურქულიდან თარგმნეს
მ. ჯაფარიძემ და გ. დოლიძემ.

ტურისტული კომპლექსი კავკასიის მთებში

ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთ ულამაზეს მხარეში — დომბაის დაბლობში დაიწყო 3.000-ადგილიანი ტურისტული კომპლექსის მშენებლობა. ყოველდღიურად უფრო და უფრო მკვეთრად ისახება მომავალი სპორტული ქალაქის მშენებლობათა კონტურები. უკვე ამოქმედდა ორი საბაგირო გზა დომბაი—ლიი—რუსკაია პოლიანა, მთავრდება 400-ადგილიანი სასტუმრო, რომელიც წლის ბოლოს ჩადგება მწყობრში. ახალი სასტუმრო ტურისტებს სთავაზობს კომფორტულ ნომრებს. პირველ სართულზე იქნება რესტორანი, ხოლო ბოლო, მერვეზე კი — საბილიარდო, კაფე, გადასახედი მოედანი, საიდანაც იშლება თოვლით დაფარული მწვერვალების პანორამა.

1972 წელს აქ აშენდება 500-ადგილიანი სასტუმრო და 200-ადგილიანი ტურბაზა „კორდონი“.

სურათზე: 400-ადგილიანი სასტუმროს მშენებლობა.

ლ. ზახაროვის ფოტო (საქდესი).

[illegible]

✦ მაიაკოვსკი

რაიონის მოჭადრაკე ვაჟთა პირველობაში, რომელიც საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა, 12 კაცი მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა პირველთანრიგოსანმა გ. მჟავანაძემ — 9,5 ქულა. II-III ადგილები გაიყვეს ა. გრძელიძემ და გ. ქვილორიამ — 7,5-7,5.

დ. ენდელაძე,
ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

✦ ჩხოროწყუ

რაიონის პირველობაში მონაწილეობდნენ „განთიადის“, „კოლმეურნისა“ და „სპარტაკის“ ფრენბურთელ ვაჟთა გუნდები. I ადგილი დაიკავეს სპარტაკელებმა.

• • •

თბილისელმა სპორტის ოსტატმა ჭადრაკში თ. კიკიანმა რაიონის კულტურის სახლში ერთდროული თამაშის სეანსი ჩამართა 10 დაფაზე. მან 8 პარტია მოიგო და 2 (ტ. ლემონჯავასთან და ე. მალანიასთან) ყაიმით დაამთავრა.

ს. ჯალაღონია.

✦ ზუგდიდი

დამთავრდა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს ველოსიპედისტთა პირველობა. 20 კმ-ზე ვაჟთა რბოლაში ფინიშთან პირველი იყო თ. რატია (სოფ. ცაიში), მეორე — ვ. სვანიძე (რაიკოოპკავშირი), მესამე — ე. ბეჟვაია (ხეცერის საბჭოთა მეურნეობა). ამავე დისტანციაზე მოზარდთა შორის ყველას აჯობა რ. ქვარაცხელიამ (რაიკოოპკავშირი). მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან ნ. ბეჟვაია (ხეცერის საბჭოთა მეურნეობა) და დ. ქვარცხავა (რაიკოოპკავშირი). გოგონათა რბოლაში (15 კმ) პირველ სამ ადგილზე გავიდნენ მ. ხაჟომია (რაიკოოპკავშირი), ს. გარდავა (სოფ. ცაიში) და ნ. ჭკადუა (რუხის კოლმეურნეობა „საქართველო“). გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: I. რაიკოოპკავშირი, II. სოფელი ცაიში, III. კოლმეურნეობა „საქართველო“.

ქ. ფიფია.

„დე კლომპერტის“ აუზში

როტერდამი, 15 აგვისტო. მოზარდთა შორის წყალში ხტომასა და ცურვაში აქ დაწყებული ევროპული ჩემპიონატის პირველ დღეს საბჭოთა სპორტსმენებმა ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიხვეჭეს: კოშკიდან ხტომაში II ადგილი დაიკავა ერევნელმა დ. ამბარცუმიანმა, ხოლო III — ალმაათელმა ს. სანჯიევმა. მათ შესაბამისად 247,11 და 240,75 ქულა დააგროვეს. ოქროს მედალი ხვდა 12 წლის ავსტრიელ მოსწავლეს ნ. სტაიკოვიჩს — 254,58 ქულა.

მოცურავე ჭაბუკთა შორის საუკეთესო იყო უნგრელი ა. ჰარგიტაი, რომელმაც ოქროს ორი მედალი მოიპოვა ბატერფლაით ცურვაში (100 მ — 58,7 წამი, 200 მ — 2.14,1). საბჭოთა ჭაბუკები უხეიროდ გამოვიდნენ ამ დისტანციებზე: ბათუმელმა ა. ბუკაშკინმა (1.04,6) VII ადგილი დაიკავა, ხოლო დნეპროპეტროვსკელმა ი. ფედოროვიჩმა (2.25,4) — V.

სევეროდონეცკელი ნ. პოპოვა 200 მეტრზე კომპლექსური ცურვის ფინალში მეოთხე იყო (2.34,3), ზაპოროჟიელი მ. ლესკოვსკაია კი 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში — მერვე (1.12,3).

ჩემპიონატში კონტინენტის 24 ქვეყნის მოცურავეები და წყალში მხტომელები მონაწილეობენ.

გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების ბოლო სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „თბილისი. 1971 წლის 13 აგვისტო“.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04795